

ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ 2019 წლის
სამოქმედო პროგრამის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

- ა.ა.ი.პ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია 2007 წლის 31 ივლისს, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიისა და საკრებულოს მიერ.
- ცენტრი განთავსებულია ყოფილი 28-ე საბავშვო ბაღის შენობაში.
- შენობის საერთო ფართი: 1548 კვ.მ
- ეზოს ფართი: 6440 კვ.მ.
- ცენტრის სამოქმედო პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყაროა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ს პროგრამებით ამჟამად სარგებლობს 150 ბენეფიციარი და 60 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი.

2019 წლის დეკემბერში ცენტრში ირიცხებოდა 150 ბენეფიციარი

ცენტრი მომსახურებას უწევს 0-დან 33 წლამდე შემდეგი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარებს:

- გონებრივი ჩამორჩენა
- ბავშვთა ცერებრალური დამბლა (ბ.ც.დ)
- დაუნის სინდრომი
- აუტიზმი
- განვითარების ეტაპების დაყოვნება

პროგრამები და თერაპიები

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში“ ფუნქციონირებს სამედიცინო და ფიზიკური რეაბილიტაციის, ფსიქოლოგიური და ლოგოპედიური კაბინეტები და ხორციელდება პროგრამები:

- ადრეული განვითარების და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა
- ინკლუზიური განათლებისათვის მოსამზადებელი პროგრამა
- სკოლამდელი ინკლუზიური განათლების პროგრამა
- დღის ცენტრის პროგრამა
- შრომითი თერაპიის პროგრამა
- ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა
- ქცევის გამოყენებითი ანალიზი (ABA თერაპია) პროგრამა
ბენეფიციარები, მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით
შეისწავლიან:
- მუსიკის თერაპია
- ხატვის თერაპია
- თიხის თერაპია
- რელიგიის ისტორია
- კომპიუტერულ უნარ-ჩვევები
- ხელგარჯილობა

თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის დახმარებით და დაფინანსებით შშმ ცენტრში, სკოლამდელი ასაკის ინკლუზიური განათლების ჯგუფში ძიძის დამხმარედ მზარეულის და მცხობელის თანაშემწედ დასაქმებული არიან ცენტრის ყოფილი ბენეფიციარები.

ცენტრში ასევე ხორციელდება წინა წლებში გერმანელი პარტნიორების (აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფი) დახმარებით დანერგილი საცხობის (ჩართულია 2 ბენეფიციარი), სასადილოს (ჩართულია 2 ბენეფიციარი) და სამრეცხაოს (ჩართულია 2 ბენეფიციარი), პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ბენეფიციარებს შრომითი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებაში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში 2019 წელს განხორციელებული ღონისძიებები

- 2019 წლის იანვარში საახალწლო არდადეგების შემდეგ განახლდა სასწავლო-სარეაბილიტაციო პერიოდი და ცენტრი ზემოთხსენებული პროგრამებით და შესაბამისი ჯგუფებით შეუდგა ბენეფიციარების მომსახურებას;
- მარტის თვეში დასრულდა ევროკავშირის მხარდაჭერით ცენტრში განხორციელებული პროექტი „ურთერთთანამშრომლობის გაძლიერება ახალი სოციალური სერვისების უზრუნველსაყოფად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის საქართველოში (ქვემო ქართლი) და აზერბაიჯანში (განჯა)“ და წარმოვადგინეთ პრეზენტაცია;
- 21 მარტს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში აღინიშნა დაუნის სინდრომის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების დღე, დარბაზში განხორციელდა წამახალისებელი აქტივობები, ასევე ცენტრის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს მერიის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გასვლით ღონისძიებაში.
- 2 აპრილს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში აღინიშნა აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე; მშობლების, ბავშვებისა და ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით დაიგეგმა და შესრულდა წამახალისებელი აქტივობები. აუტიზმის დღესთან დაკავშირებით ცენტრის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს მერიის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გასვლით ღონისძიებაში.
- ქალაქ რუსთავის მერის მხარდაჭერით "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის" 5 თანამშრომელმა გაიარა გადამზადების კურსი და 2019 წლის აპრილიდან დაიწყო ქცევის გამოყენებითი ანალიზის (ABA თერაპიის) პროგრამის განხორციელება აუტიზმის, აუტისტური სპექტრისა და სხვა ქცევითი დარღვევების მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ბენეფიციარებთან მუშაობენ შესაბამისი სპეციალისტები: ქცევის (ABA) თერაპევტი და მეტყველების თერაპევტი. პროგრამას თეორიულ და პრაქტიკულ მხარდაჭერას უწევს "ორგანიზაცია საქართველოს ბავშვები".
 - 2019 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით ABA თერაპიის მომსახურებით ისარგებლა 35 ბენეფიციარმა.
- ცენტრს მუდმივად თეორიულ და პრაქტიკულ მხარდაჭერას უწევს გერმანელი მეგობარი და პარტნიორი გაერთიანება "შშმ პირების დახმარებისთვის საქართველოში" ხელმძღვანელი ჰაიდი შმახტენბერგი, რომელმაც გაერთიანების წარმომადგენლებთან ერთად, ცენტრს საჭირო განმავითარებელი მასალა და ბავშვთა კოგნიტური უნარების შესაფასებელი ტესტები საჩუქრად გადასცა.

- ქალბატონი ჰაიდის ინიციატივით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრს ეწვია გერმანელი პროფესორი, აუტისტური ცენტრის დირექტორი, ქალბატონი მარგიტ სეროკა, რომელმაც 6,7,8 მაისს ყველა სპეციალისტისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე - „ქცევითი თერაპია აუტიზმის დროს, TEACCH- მეთოდის გათვალისწინებით.“ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.
- მაისის თვეში ცენტრი მასპინძლობდა გერმანია-შვეიცარიის აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფს, რომელიც გეგმიური ვიზიტით იმყოფებოდა ცენტრში მათთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტის მონიტორინგის და ახალი პროექტის(სველი წერტილების რემონტი) დაგეგმვის მიზნით.
- 2019 წლის პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცენტრში დაგეგმილ ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, “საქართველოს მუსლიმთა სამმართველო” და ჩვენი უცხოელი პარტნიორები, ბავშვებს საჩურები და ტკბილეული გადაეცათ.
- 2019 წლის 14 ივნისს (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა დაცვის დღე) ბენეფიციარებისა და ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა მუსიკალური სპექტაკლი „მგლების წვეულება“; ღონისძიებას დაეწრო გუბერნიის, მერიის, საკრებულოს პირველი პირები, “ჰაიდელბერგცემენტის” და ქალაქის ბიზნესის და განათლების წარმომადგენლები.
- 2019 წლის ივლისის თვეში დაიწყო გერმანელი მეგობარი და პარტნიორი გაერთიანება "შშმ პირების დახმარებისთვის საქართველოში" ხელმძღვანელის ჰაიდი შმახტენბერგის მიერ წარმოდგენილი პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ადრეულ ასაკში განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში“ მოსამზადებელი ეტაპი.
- 2019 წლის 16 სექტემბრიდან განახლდა სასწავლო-სარეაბილიტაციო პერიოდი და ცენტრი ზემოთხსენებული პროგრამებით და შესაბამისი ჯგუფებით შეუდგა ბენეფიციარების მომსახურებას;
- სექტემბრის თვიდან მშობელთა მომართვის საფუძველზე გაგრძელდა ქცევის გამოყენებითი ანალიზის(ABA თერაპიის) პროგრამა.
- 5 და 6 ოქტომბერს გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის პროფსიულ-დრამატულ თეატრში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის - “ივერია ბრილიანტის” მონაწილე -გამარჯვებული ცენტრის ბენეფიციარი დავით გასპარანცი ქალაქ რუსთავის მერის ბატონ ირაკლი ტაბაღუას მხარდაჭერით 19 დეკემბერს გაემგზავრა უკრაინაში საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოს სახელით.
- ოქტომბრის თვეში ცენტრს სტუმრობდა მეგობარი და პარტნიორი გერმანული ორგანიზაცია/გაერთიანება "შშმ პირების დახმარებისთვის საქართველოში" ხელმძღვანელი ჰაიდი შმახტენბერგი, ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ადრეულ ასაკში განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში“ მონიტორინგის და სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით.

- ქალბატონი ჰაიდი შმახტენბერგის ინიციატივით 2019 წლის 15 ოქტომბერს ცენტრში სემინარი ჩაატარა გერმანელმა პროფესორმა ფრანც იოზეფ ბეგო-გინამ - თემაზე „შშმ პირების ფუნქციური უნარების განვითარებაში მშობელთა ჩართულობის გაზრდის სტრატეგიები მოდერაციის მეთოდის გამოყენებით“.
- ქალაქ რუსთავის მერის მხარდაჭერით "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის" ექვსმა სპეციალისტმა გაიარა თეორიული და პრაქტიკული კურსი, მოვიპოვეთ შესაბამისი სერთიფიკატები, რის შემდეგაც ვერთვებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადრეული ინტერვენციის პროგრამაში. რაც მოიცავს 7 წლამდე ასაკის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთათვის პროგრამით განსაზღვრული სერვისის მიწოდებას. (2020 წლის იანვრიდან ცენტრი ჩაერთო აღნიშნულ პროგრამაში).
- 3 დეკემბერს ცენტრში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას დაესწრო გუბერნიის, მერიის, საკრებულოს პირველი პირები, ასევე მოწვეული სტუმრები. ბენეფიციარებმა სტუმრებს მუსიკალური სპექტაკლი "წუნა და წრუწუნა" წარუდგინეს.
- 2019 წლის დეკემბერის ბოლოს ცენტრში გაიმართა საახალწლო ღონისძიება; ბენეფიციარებს გადაეცათ ქალაქის მერის მიერ მათთვის განკუთვნილი საახალწლო საჩუქრები.